



მიტროპოლიტი ილარიონი: გლობალური მიგრაციის კრიზისი პროვოცირებულია ახლო აღმოსავლეთში ძლიერი დასავლური სახელმწიფოების ჩარევით



ბოლო დროს მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ბელარუსია-პოლონეთის საზღვრისკენაა მიპყრობილი, სადაც თავმოყრილია რამდენიმე ათასი ლტოლვილი და მიგრანტი ერაყიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ევროკავშირში მოხვედრას ცდილობენ. ჰუმანიტარული თვალსაზრისით სიტუაცია, რომელშიც ეს ადამიანები იმყოფებიან, მათ შორის ქალები და ბავშვები, კატასტროფულთან ახლოსაა.

გლობალური მიგრაციული კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე, რომლის ერთ-ერთი გამოვლინებად ამჟამად პოლონეთის საზღვარზე განვითარებული ადამიანური დრამა იქცა, თავისი შეხედულება მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის

მიტროპოლიტმა ილარიონმა პროგრამის – „ეკლესია და მსოფლიო“ ტელეეთერში გააზიარა.

„ჰუმანიტარული კრიზისის მიზეზი, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მოიცვა, უპირველეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების პოლიტიკურ სიტუაციაში დასავლური ხელისუფლებების ჩარევაა და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების“, – მიაჩნია მას.

იერარქმა შეთავაზება გააკეთა რეგიონში განვითარებულ სიტუაციას ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის შენარჩუნების პერსპექტივიდანაც შეხედონ: „მაგალითად, ერაყში არსებობდა რეჟიმი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა დიქტატორულად და ანტიეროვნულად გამოცხადდა. იყო თუ არა ის ასეთი – ესაა საკითხავი, რომელზეც პასუხის გაცემა პოლიტოლოგებს შეუძლიათ. მაგრამ სადამ ჰუსეინის დროს ადგილობრივი ქრისტიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მათი რიცხვი ქვეყანაში მილიონნახევარნი იყო. მას შემდეგ რაც ჰუსეინის რეჟიმი დაემხო, იქ ტერორისტებმა თავი წამოწიეს: დაიწყო თავდასხმები ქრისტიანების სახლებზე, მათ კლავდნენ, თავიანთი საცხოვრებლებიდან დევნიდნენ. ქრისტიანთა ძირითადი ნაწილი იძულებული გახდა ერაყი დაეტოვებინა – თუ ადრე ქვეყანაში მათი რიცხვი მილიონნახევარი იყო, ახლა, საუკეთესო შემთხვევაში, ამ რაოდენობის მხოლოდ მეათედი დარჩა“.

ამრიგად, მიგრაციული კრიზისი, რომელმაც ახლა ევროპის მრავალი ქვეყანა მოიცვა, უშუალო კავშირშია იმასთან, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში აკეთებდა, – მიიჩნია მიტროპოლიტ ილარიონს. „ეს ბალანსის დარღვევის პირდაპირი შედეგია, რაც გარე ძალების იმ ჩარევის შედეგად მოხდა“, – აღნიშნა მან.

სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88471/>